პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 18 აგვისტო, 1943 წ. № 174 (6799). ფასი 20 კაპ.

მუშათა მომარაგების განყოფილებების საბრძოლო ამოცანები

საბჭოთა მთავრობის დადგენილებით ჩვენი მრეწველობის საწარმოებთან სამამულო ომის დღეებში შეიქმნა მუშათა მომარაგების განყოფილებანი, რომლებიც ძოწოდებულნი არიან იბრძოლონ ყვების პროდუქტებითა და ფართო მოხმარების საქონლით მშრომელთა უზრუნველყოფისათვის. სახელმწიფო დიდძალ ცენტრალიზებულ ფონდებს აძლევს საწარმო-დაწესებულებებს. ეს ფონდები განუწყვეტლივ ივსება მუშათა მომარაგების განყოფილებების დამხმარე მეურნეობებიდან მიღებული მოსავლით, აგრეთვე მათი სახელოსნოების პროდუქციით. სადაც მუშათა მომარაგების განყოფილებანი სინიმუშოდ მუშაობენ, იჩენენ ინიციატივას მუშა-მოსამსახურეთა დამატებითი მომარაგების წყაროების გაჩენაში, სიყვარულით და პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას,—იქ სასადილოები უზრუნველყოფილი არიან პროდუქტებით, ბოსტნეულით, მაღაზიები და ფარდულები ნამდვილად აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას, ადგილი აღარა აქვს დოვლათის დატაცებას და განიავებას.

ერთ-ერთი სერიოზული საკითხია მუშათა მომარაგების განყოფილებებს კადრების შერჩევა. წამგლეჯს და გამფლანგველს ადგილი არ უნდა ჰქონდეს მუშათა მომარაგების განყოფილების სისტემაში. იქ საჭიროა მეურნეობის მცოდნე, უნარიანი, პატიოსანი ადამიანები, რომლებიც ბოლომდე გრძნობენ პასუხისმგებლობას, თუ რას ნიშნავს უზრუნველჰყო იმ მუშა-მოსამსახურეთა მომარაგება, რომლებიც წითელი არმიისათვის საჭიროველს, იარაღს, ყვების პროდუქტებს, ტანსაცმელს ამზადებენ, უშვებენ პროდუქციას ფრონტისათვის გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა გასანადგურებლად.

მუშათა მომარაგების განყოფილებებს აქვთ დამხმარე მეურნეობები. მიმდინარე წელს დამხმარე მეურნეობები უკეთესად მუშაობენ, ვიდრე შარშან. თითქმის ყველა დამხმარე მეურნეობამ გაადიდა სათესი ფართობები, ამასთან ნათესების დამუშავება უფრო მაღალხარისხოვნად ჩატარდა. თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკას 2,5 ჰექტარის ნაცვლად წელს დამხმარე მეურნეობა აქვს 32 ჰექტარზე. ქარხანას, რომლის დირექტორია ამხ. სარიშვილი, თუ გასულ წელს დამხმარე მეურნეობა 5 ჰექტარზე ჰქონდა გაშენებული, წელს 30 ჰექტარი აქვს დათესილი. საერთოდ, დამხმარე მეურნეობები წელს კარგ მოსავალს გვპირდებიან.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის დამხმარე მეურნეობაში (მუშათა მომარაგების განყოფილების გამგე ამხ. ნ. ლოლაძე) ერთ ჰექტარზე 90 ცენტნერის ნაცვლად 100 ცენტნერ ხახვს იღებენ, 120 ცენტნერი ჭარხლის ნაცვლად კი 160 ცენტნერს მიიღებენ. მოსავალს ასევე კარგი პირი უჩანს თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის და მთელ რიგ სხვა საწარმო-დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებში.

მაგრამ ზოგან მუშათა მომარაგების განყოფილებები სათანადოდ არ ზრუნავენ დამხმარე მეურნეობებზე. ნაკლები პასუხისმგებლობა როდი აკისრიათ საწარმო-დაწესებულებათა დირექტორებს, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. პირიქით, საწარმოს დირექტორი ამ საქმეშიც პირველყოვლისა არის პასუხისმგებელი იმაზე, თუ როგორ მუშაობს მომარაგების განყოფილება, დამხმარე მეურნეობა.

იმის გამო, რომ დროზე არ დათესეს, ფართობი უხარისხოდ დაამუშავეს, ნიადაგში სასუქი არ შეიტანეს, არ იცავდნენ აგროლონისძიებებს, თბილმშენის დამხმარე მეურნეობა (დირექტორი გრ. კიკნაძე) ცუდად გამოიყურება. იქ 80 ცენტნერის მაგიერ ჰექტარზე 10 ცენტნერ კარტოფილს თუ მიიღებენ. საადრო კომბოსტო უკვე აიღეს, მაგრამ ჰექტარმა 10-ჯერ უფრო ნაკლები მოსავალი მისცა თბილმშენის კოლექტივს. ამან, რა თქმა უნდა, დიდად გაზარდა თვითღირებულება. დაბალ მოსავალს ღებულობენ აგრეთვე „ზაგოტზერნოს“, ცენტროლიტის, საკანცელარიო ნივთების ფაბრიკის დამხმარე მეურნეობები, რაც უყაირათობისა და ცუდი მუშაობის შედეგია.

მთელი რიგი საწარმოების მუშათა მომარაგების განყოფილებებს დამხმარე მეურნეობებთან აქვთ მეცხოველეობის ფერმები. საჭიროა ყოველმხრივ შეუწყოთ ხელი მათს განვითარებას, ფერმებს უნდა ჰქონდეთ საქონლის საკვების სათანადო მარაგი. საჭიროა ფერმებში პირუტყვის სულადობა იზრდებოდეს და მინიმუმამდე შევამციროთ მისი სიკვდილიანობა.

მუშათა მომარაგების განყოფილებების ინიციატივიანი ხელმძღვანელები ეძებენ და პოულობენ დამატებითი მომარაგების წყაროებს, აწყობენ სახელოსნოებს ფართო მოხმარების საგნების გამოსაშვებად. თბილისის ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების დამხმარე მეურნეობაში ხელი მოჰკიდეს მეფუტკრეობას, რომელიც კარგ პერსპექტივას იძლევა. მაგალითად, წყალსადენის დამხმარე მეურნეობას 100 სკა აქვს მოწყობილი. ეს ძლიერ კარგია და მუშათა მომარაგების განყოფილებებს ხომ ყოველთვის შეუძლიათ დამატებითი მომარაგების სულ ახალი წყაროები აღმოაჩინონ, თუ იქნება დაინტერესება, საქმისადმი სიყვარული და პასუხისმგებლობის გრძნობა.

მოსავლის უდანაკარგოდ აღება, მისი სათანადოდ დაბინავება, საქონლისა და პროდუქტების სწორი გაცემა ბევრ რამეს ავალებს მუშათა მომარაგების განყოფილებებს. პროფკავშირებმა, რომლებსაც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დააკისრა მასობრივი საზოგადოებრივი კონტროლის მოწყობა სასადილოებისა და მაღაზიების მუშაობისადმი, ყველა ზომა უნდა მიიღონ, რომ ძირშივე აღიკვეთოს საქონლისა და პროდუქტების უკანონოდ გაცემის ყოველი შემთხვევა. მუშათა მომარაგების განყოფილებების ენერგიული, ინიციატივიანი, სანიმუშო მუშაობა აძლიერებს ზურგს, ეხმარება წითელ არმიას გერმანელ ფაშისტთა განადგურებაში. ასე უნდა ესმოდეთ თავისი როლი და ამოცანები მუშათა მომარაგების განყოფილებების მუშაკებს.

ი. სტალინი — „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“

საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობის პოლიტიკური ლიტერატურის სექტორმა ამ დღეებში ქართულ ენაზე გამოსცა ამხანაგ **სტალინის** წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის წიგნში დაბეჭდილია ხალხთა ბელადის გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის გამოსვლები, მოხსენებები, სიტყვა, ბრძანებები, მისასალმებელი დეპეშები და პასუხები კორესპონდენტთა შეკითხვებზე, რაც გაბოქეყნებულია სამამულო ომის პერიოდში ა. წ. იანვისამდე.

ამხანაგ სტალინის წიგნის შინაარსი წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით:

გამოსვლა რადიოთი 1941 წლის 3 ივლისს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავი. მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1941 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე.

სიტყვა წითელი არმიის პარადზე 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე მოსკოვში.

ბრძანება თავდაცვის სახალხო კომისრისა. 1942 წლის 23 თებერვალი № 55 ქ. მოსკოვი.

ბრძანება თავდაცვის სახალხო კომისრისა. 1942 წლის 1 მაისი № 130 ქ. მოსკოვი.

ამხ. ი. ბ. სტალინის პასუხები ამერიკის ასოშიეიტედ პრესის საგაზეთოს კორესპონდენტის კითხვებზე (1942 წლის 3 ოქტომბერი).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავი. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე.

ბრძანება თავდაცვის სახალხო კომისრისა. 1942 წლის 7 ნოემბერი № 345 ქ. მოსკოვი.

ამხ. ი. ბ. სტალინის პასუხები ამერიკის ასოშიეიტედ პრესის საგაზეთოს კორესპონდენტის კითხვებზე (1942 წლის 13 ნოემბერი).

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, დონის, ჩრდილოეთ-კავკასიის, ვორონეჟის, კალინინის, ვოლხოვის და ლენინგრადის ფრონტების ჯარებისადმი (1943 წლის 25 იანვარი).

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა დონის ფრონტის ჯარებისადმი (1943 წლის 2 თებერვალი).

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა. 1943 წლის 23 თებერვალი № 95 ქ. მოსკოვი.

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა. 1943 წლის 1 მაისი № 195 ქ. მოსკოვი:

ამხ. ი. ბ. სტალინის პასუხები ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ და ინგლისურ გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტის კითხვებზე (1943 წლის 4 მაისი).

ამხ. ი. ბ. სტალინის მისასალმებელი დეპეშები ბ-ნ უ. ჩერჩილისა და ბ-ნ ფ. რუზველტისადმი ინგლის-ამერიკის ჯარების გამარჯვების გამო ჩრდილოეთ აფრიკაში (1943 წლის 9 მაისი).

ამხ. ი. ბ. სტალინის პასუხი ინგლისის რეიტერის საგაზეთოს მთავარი კორესპონდენტის კითხვაზე (1943 წლის 28 მაისი).

ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ გამოშვებულია მასობრივი ტირაჟით, საუალო ფორმატისა, შეიცავს 105 გვერდს და ღირს 2 მან.

ზემდეგ გ. ა. ფიფიას დაჯილდოება

მფრინავთა კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმეში, აგრეთვე მოქმედი არმიის ნაწილების საავიაციო შეიარაღებით უზრუნველყოფის საქმეში სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 7 აგვისტოს ბრძანებულებით ზემდეგი გალაქტიონ ალექსის-ძე **ფიფია** დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ფრონტიდან მიღებული ამბები ძაღ-ღონეს უათკეცებენ საბჭოთა პატრიოტებს

საბჭოთა ჯარების ახალი საბრძოლო წარმატებების შესახებ მიღებული ცნობები ძალღონეს და ენერგიას უათკეცებენ მოსკოვის ქვანახშირის ბასეინის მუშახტელებს. მოსკოვის ბასეინის აგვისტოს პირველი ნახევრის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. 15 აგვისტოს ბასეინმა სადღეღამისო გეგმის ფადმეტებით მისცა ჩვენს ქვეყანას ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის მიერ ქალაქ კარაჩოვის განთავისუფლებასთან დაკავშირებით გამოცემულმა ბრძანებამ ახალი საწარმოო აღფრთოვანება გამოიწვია მაღაროელთა შორის. № 2 შახტის საყელავი მანქანის მემანქანემ ამხ. ჩერნეკკიმ ვალდებულება იკისრა სარეკორდო გამომუშავება მოეცა 15 აგვისტოს ღამით. მეორე დღეს, დილით, მან უბნის უფროსს მოახსენა, რომ თავისი დაპირება შეასრულა—სრულად მოანგრია ლავები. ამ უბნის შემდეგმა ცვლამ დაკალება 140 პროცენტით შეასრულა.

მაღაროელები ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ. (საკდესი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით ამხ. **გიორგი ილიას-ძე არვაძეანიძე** დანიშნულია საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ მეცხოველეობის დარგში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

17 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

17 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრიანსკის მიმართულებით შეტევას განაგრძობდნენ, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 4-დან 6 კილომეტრამდე და 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სპას-დემენსკის რაიონიდან უტევენ, კვლავ წინ წაიწიეს და თავიანთი პოზიციები გაიუმჯობესეს.

ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშების მოგერიებას და მთელ რიგ უბნებზე ეწეოდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს თავიანთი პოზიციები.

სხვა ფრონტებზე ჩვენი ჯარები ბრძოლით დაზვერვას ეწეოდნენ და საარტილერიო-სანალმმტყორცნო სროლა ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან.

16 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 96 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 78 თვითმფრინავი.

* * *

ბრიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევა, მაგრამ ჩვენი ნაწილების დარტყმების შედეგად ზედიზედ სტოვებს პოზიციებს. 6 ნაწილის კავალერისტებმა გერმანელთა წინააღმდეგობა გასტეხეს, რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს და 600-ზე მეტი ჰიტლერელი გაელიტეს. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა წყლის ზღუდე გადალახეს და მოწინააღმდეგის მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტები დაიკავეს. ამ დასაყრდენი პუნქტებისათვის ბრძოლებში ძოსპობილია 2.000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 36 ტანკი, 69 საველე და 10 თვითმავალი ქვემეხი, 15 ნაღმსატყორცნი, 56 ტყვიამფრქვევი, 100-ზე მეტი ავტომანქანა, 8 ტრაქტორი და 5 საწყობი სამმარი მასალა.

დმიტროვსკ-ორლოვსკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. სასტიკი ბრძოლა მოხდა ძლიერ გამაგრებულ პუნქტ დერიუგინოსათვის. ჩვენმა მესანგრეებმა, რომელნიც გზას უწმენდდნენ ქვეითს ჯარს, მრავალი ნაღმი გააუნეტრეს. უფროს ლეიტენანტს ბურდინის ქვეგანაყოფმა, სხვა ქვეგანაყოფებთან ურთიერთმოქმედებით, მძაფრი იერიში მიიტანა გერმანელებზე და დაიკავა დერიუგინო. პუნქტის ჭურებში ტყრის 200-ზე მეტი მოკლული დარჩა.

* * *

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სპას-დემენსკის რაიონიდან უტევენ, გააფთრებული ბრძოლების შედეგად კვლავ წინ წაიწიეს, რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს და თავიანთი პოზიციები გაიუმჯობესეს. ერთი დღის ბრძოლის განმავლობაში გაელიტელია 2.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და მოსპობილია 12 ტანკი და სხვადასხვა ყალიბის 70 ქვემეხი. წამოღებულია დაელი და წამოყვანილია ტყვეები. მტერს მძიმე ზარალი მოსდის. ტყვედ წამოყვანილმა 589-ე ქვეითი პოლკის მეორე ბატალიონის ადიუტანტმა განაცხადა, რომ გერმანიის 321-ე ქვეითი დივიზიიდან სულ ბევრი ორი ბატალიონი დარჩა. საბჭოთა მებრძოლები დასაყრდენ პუნქტ მალახოვკაში გარს შემოერტყნენ გერმანიის 59-ე მოტოპოლკის 1 და მე-5 ასეულს და გაფთრებული ბრძოლის შემდეგ ორივე ასეული გაელიტეს.

* * *

ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის კონტრიერიშებს იგერიებდნენ.

ხარკოვის დასავლეთით, ერთ უბანზე, გერმანელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს ქვეითი ჯარის მნიშვნელოვანი ძალები და 100-მდე ძმიმე ტანკი. გაფთრებულ ბრძოლაში ჩვენმა მებრძოლებმა დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგს და აიძულეს უკან დაეხია. ამ ბრძოლაში გაელეტილია 4.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 46 ტანკი. 5 შენაერთის მებრძოლებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს, ამასთან 900 ჰიტლერელი გაელიტეს. ტყვედ წამოყვანილია 135 კაცი; წამოღებულია გერმანელთა 3 ძმიმე ტანკი „ვეფხვი“, სხვადასხვა ყალიბის 18 ქვემეხი, 69 ტყვიამფრქვევი და ბევრი შაშხანა.

ხარკოვის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა მოწინავე რაზმებმა მთლიანად გაელიტეს გერმანელთა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი. წამოღებულია ბატალიონის მთელი საბრძოლო და მასთან მიწერილი 7 ტანკი.

* * *

ჟიტომირის ოლქში, მოქმედი პარტიზანული რაზმი 4 აგვისტოს ღამით ერთ ქალაქში შეიპარა. პარტიზანებმა უხმაროდ მოხსნეს გუშაგები და მოულოდნელად დაესხნენ თავს გერმანელთა გარნიზონის ყაზარმას. გაფთრებულ ბრძოლაში გაელეტილ იქნა 75 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა პატრიოტებმა დაანგრიეს კავშირგაბმულობის კვანძი, დასწვეს 37 ავტომანქანა, 70 ტონა საწვავი და ტანკების სარემონტო სახელოსნო. პარტიზანებმა საპატიროდან გაათავისუფლეს დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქეები.

* * *

გერმანელი ფაშისტი არამზადები, რომელნიც წითელი არმიის დარტყმების შედეგად უკან იხევენ, სწვავენ და სპობენ საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს და ძალიან მიჰყავთ მწვადობანი მოსახლეობა. ბანდიტებმა მიწასთან გაასწორეს ორიოლის ოლქის სოფელი სეობოდნაია-ტაზნი. ოკუპანტებმა რომ ეს სოფელი დაიკავეს, მასში გერმანელმა კომენდანტმა შმიდტმა მოიკალათა. მან თითქმის ყველა კოლმეურნე გაძარცვა, ჩამოართვა მათ ინვენტარი და ბევრი პირუტყვი. შმიდტმა 600 ჰექტარი მიწა ჩამოართვა გლეხებს და საბატონო მეურნეობა მოაწყო. შმიდტი საკაროდ ჯოხავდა გლეხებს სამუშაოზე გამოუცხადებლობისათვის, სულ მცირეოდენი „დანაშაულისათვის“. ურჩ მცხოვრებთ ჯალათი შმიდტი და მისი ადანდარმები ხოცავდნენ. ფაშისტმა კაციჭამიებმა დახვრიტეს სოფლის მცხოვრებნი—ვასილ მოროზოვი, მიხეილ ზავიაზლოვი, ვასილ ხოდენკოვი და ბევრი სხვა. უკანდახევისას ჰიტლერელებმა მოსახლეობა ბაღრაგით გაირეკეს ზუროვში, ხოლო სოფელს ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლში დაიწვა 54-ვე სახლი საკარმიდამო შენობებიანად.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები ბრიანსკის, როსლავლის, სლავიანსკის რკინიგზის კვანძებზე, სადგურ ბარვენკოვოზე, ეგრეთვე მოწინააღმდეგის აეროდრომებზე

16 აგვისტოს ღამით ჩვენმა ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის ჯარის ეშელონები და სამხედრო საწყობები რკინიგზის კვანძებზე ბრიანსკი—1, ბრიანსკი—2, როსლავლი, სლავიანსკი და სადგურ ბარვენკოვოზე. დაბომბვის შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა, რასაც თან სდევდა ძლიერი აფეთქებანი. იწვოდა და ფეთქებოდა რკინიგზის ეშელონები, საომარი მასალისა და საწვავის საწყობები.

იმავე ღამეს ჩვენმა ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის აეროდრომები, რომლებზეც შემჩნეული იყო გერმანელთა თვითმფრინავების თავმოყრა. ბომბები სკდებოდა ასაფრენ მინდვრებზე, თვითმფრინავებს გასაჩერებელ ადგილებზე და საეროდრომო ნაგებობათა შორის. მოსპობილი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის სულ ცოტა 60 თვითმფრინავი.

ჩვენმა თვითმფრინავებმა დაბომბეს აგრეთვე მოწინააღმდეგის თავმოყრილი ჯარები და ტექნიკა ხარკოვის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით.

ჩვენი ორი თვითმფრინავი საბრძოლო დავალებიდან არ დაბრუნებულა.

ხარკოვის მიმართულებით

მოკმედი არმია, 16 აგვისტო (ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან). ხარკოვის მიმართულებით ბრძოლა წინანდელი გააფთრებით გრძელდება. ყველაზე უფრო დაძაბული ბრძოლები სწარმოებს ერთ უბანზე, სადაც მოწინააღმდეგემ გადმოიყვანა მნიშვნელოვანი რეზერვები. ქვეითი ჯარის ძალების კონცენტრირებული კონტრიერიშებით, რომელსაც 40-50 ტანკისაგან შემდგარი ჯგუფებითა და ავიაციით ეწევა დახმარება, გერმანელები ცდილობენ გაიუმჯობესონ აქ პოზიციები. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მტერს თავისი რჩეული ნაწილები გამოჰყავს ბრძოლაში, იგი ვერ ახერხებს ამ ამოცანის განხორციელებას. ჩვენი ნაწილები გერმანელთა კონტრიერიშებს იგერიებენ და დიდ ზარალს აყენებენ მათ.

მტერმა რამდენჯერმე მოიტანა კონტრიერიში ნ ნაწილზე. ამ ნაწილის საბრძოლო რიგებში მყოფმა ტანკსაწინააღმდეგო არტილერიამ გერმანელთა 21 ტანკი დააზიანა. ქვეითმა ჯარმა კონცენტრირებული ცეცხლით მტრის 900-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაელიტა. მენალმეთა მოძრავმა რაზმებმა თავიანთი მოქმედებით ხელი შეუწყეს იმას, რომ მოწინააღმდეგემ უკვე ვეღარ შესძლო მოახლოებოდა ჩვენს მიერ დაკავებულ პუნქტს. ბოლოს, გერმანელთა ნაწილები, რომლებსაც კონტრიერიშები მოჰქონდათ, საგრძნობლად იქნენ სისხლისაგან დაცლილი.

ამით ნ ნაწილმა ისარგებლა, რათა კვლავ განეგრძო შეტევა. როგორც მტრის კონტრიერიშების მოგერიებისას, მან ბრძოლა დაიწყო გერმანელთა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მოსასპობად, აცალკევებდა და ნაწილ-ნაწილ სპობდა მათ. შეტევა სწარმოებდა მტრის ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტის წინააღმდეგ; შეტევას მძლავრ დახმარებას უწევდა არტილერია, რომელმაც თავისი ცეცხლით ჩამოაცალა ეს პუნქტი გერმანელთა თავდაცვის დანარჩენ სისტემას. ჩვენი ავიაცია შემტევთ ეხმარებოდა, საშუალებას არ აძლევდა მტერს მოეშველიებინა საჭირო რეზერვები. ამის შედეგად დასაყრდენ პუნქტის გარნიზონი თითქმის მთლიანად იქნა გაელეტილი. ნ ნაწილმა ხელთ იგდო ტყვეები და დაელა.

არა ნაკლებ შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა ერთ წყლის ზღუდესთან, სადაც გერმანელები გაძლიერებული ტემპებით აგებდნენ თავდაცვის ახალ ხაზს. ჩვენმა ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა, რომლებიც ამ უბანზე მოქმედებენ, მტრის ხიდისწინა პოზიციებს შემოუარეს. ბრძოლა უშუალოდ მდინარესთან იქნა გადატანილი და განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა ამ მდინარის გადასასვლელების გარშემო. გერმანელებმა სცადეს არიერგარდით დაეცვათ თავი, რათა დასავლეთ ნაპირზე გადაეტანათ თავიანთი მატერიალური ნაწილი, მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა. ჩვენმა მოწინავე რაზმებმა მტერი უკუაგდეს და მდინარე გადალახეს, თუმცა აღმოსავლეთ ნაპირზე ჯერ კიდევ რჩებოდა გერმანელთა და მათი ტექნიკის ნაწილი.

თავიანთებს რომ არ მოსწყვეტოდნენ, გერმანელები წყალში ცვივდებოდნენ. აქ მათ ანადგურებდა ჩვენი ტყვიამფრქვევების ცეცხლი ორივე ნაპირიდან, მაგრამ ისინი მაინც მდინარისკენ მიეშურებოდნენ და იქ იღუპებოდნენ.

(„პრასნაია ზვეზდა“, 17 აგვისტო).

განთავისუფლებულ ქარაჩოვში

ბრიანსკის მიმართულება, 16 აგვისტო (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სადგურ ხოტინეცის მხრიდან ქალაქისაკენ მხმავალი გზა მოფენილია მტრის გვამებით და ყუმბარების ჩილნებით, რომლებიც გროვა-გროვად ჰყრია. აქ ყველაფერი მოწმობს ახლახანს წარმოებულ სასტიკ ბრძოლას. გზა-ჯვარედინზე დამტვრეული „ვეფხვები“ დგანან.

გერმანელები თითქმის ორი წლის განმავლობაში ამაგრებდნენ კარაჩოვს და მის მიადგომებს. ძირითადი თავდაცვითი ზღუდეები ჩრდილოეთისაკენ არის მიქცეული. რკინიგზის ლიანდაგს გადაღმა ამოთხრილი იყო ტანკსაწინააღმდეგო თხრილი, სრული პროფილის სანგრები, აგებული იყო ბლინდაჟები. უკან არტილერიის საცეცხლე პოზიციებია განლაგებული.

ივლისში გერმანიის არმიის მიერ დაწყებული შეტევის შემდეგ, რომელიც მარცხით დამთავრდა, ჰიტლერელები ქალაქის ირგვლივ დაცვისათვის მზადებას შეუდგნენ. შენდებოდა სიმაგრეთა დამატებითი მთლიანი ხაზი. გერმანელებმა ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები გარეკეს ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბნებში და აქ ააგეს წინააღმდეგობის სამი ახალი კვანძი, რომლებიც ბაბატონებულ მაღლობებს ეყრდნობოდნენ. თავდაცვის ხაზი მდინარე სნეჟას ყველაზე დაჭაობებულ ნაპირებამდე გაიჭიმა. მინდვრები დაინაღმა არა მარტო სანგრების წინ, არამედ მათ უკანაც.

ამ სიმაგრეთა რაიონში შედარებით მცირე უბანზე გერმანელის სარდლობამ თავი მოუყარა რამდენიმე ქვეითს და სატანკო დივიზიას, რომელთაგან მნიშვნელოვანი რაოდენობის არტილერია ეხმარებოდა.

ახლა ყველგან ჩვენი მესანგრეები სჩანან. ისინი გულდასმით იკვლევენ ტყრებს, სდგამენ ნიშნებს, რომლებითაც აფრთხილებენ, რომ იქ გავლა საშიშია. გერმანელები ეშზადებოდნენ იმისათვის, რომ შეუპოვარი ბრძოლები გაეჩაღებინათ ქალაქში, ამიტომ ბევრი ტყრა და შენობა დანაღმეს.

რამდენიმე დღის წინათ, როცა უკვე გამოირკვა, რომ კარაჩოვს ვეღარ შეინარჩუნებდნენ, ფაშისტებმა შენობების აფეთქება დაიწყეს, დასავლეთისაკენ ეზიდებოდნენ ყველაფერს, რასაც კი რაიმე ღირებულება ჰქონდა. დახვრეტის მუქარით ერეკებოდნენ ქალაქიდან მცხოვრებთ. ჰიტლერელი მეჩარაღნეები ყოველი მხრიდან უკიდებდნენ ცეცხლს ქალაქს. იქ, სადაც წინათ ბამბის ფაბრიკა, ზეთსახდელი ქარხანა, ვეჟიკის ფაბრიკა, აფურის ქარხანა და ქალაქის თეატრი იყო, ახლა აგურისა და ღორღის გროვებია დარჩა. აფეთქებულია აგრეთვე ქვიტკირის ყველა საცხოვრებელი სახლი, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, სბამეშო ბაგა. დაგრეულია რკინიგზის კვანძიც. აქამდე იწვის მთელი უბნები. პერეომაისკისა და პროლეტარსკის ქუჩების გზაჯვარედინიდან დაწყებული ცეცხლი ქალაქის ცენტრს მოედო.

ფერფლით დაფარულ ქუჩებში ღონმიხდილი ადამიანები დაეხეტებიან. ეს ისინი არიან, ვინც მოახერხა თავი გადაერჩინა გერმანელთა ტყვეობისაგან. შემაძრწუნებელია მათი ნამბობი იმაზე, თუ რას სჩადიოდნენ გერმანელები კარაჩოვში თავიანთი ბატონობის დროს.

ქალაქის ერთ-ერთ საყდარში, რომელსაც შემოვლებული აქვს ტკლიანი მავთულის მაღალი ღობე, ჰიტლერელებმა საპატიმრო მოაწყეს. აქ მრავალი თვის განმავლობაში ჰყავდათ მათ ქალაქისა და მახლობელი სოფლების მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები. ამ დილეგში შიმშილით, სიცივითა და წამებით დაიხოცა ასობით პატიმარი, მათ შორის ბევრი მოზარდი.

სიკვდილის მეორე ბანაკი მოწყობილი იყო მოედანზე, აშენების პროცესში მყოფ სკოლის გვერდით. აქ ცისქვეშ ჰყავდათ სამხედრო ტყვე წითელარმიელები.

მესამე საკონცენტრაციო ბანაკი, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობს მდინარე სნეჟატის ნაპირას, ჰიტლერელმა ბურგომისტრმა შიპერმა მოაწყო კარაჩოვის ებრაელი მოსახლეობისათვის. ამ ბანაკიდან ცოცხალი არავინ გამოსულა. გერმანელები მთელ პარტიზანი ჰყრიდნენ მანქანებში მოზრდილებს, ბავშვებსა და მოხუცებს და გამოურკვეველი მიმართულებით მიჰყავდათ.

ქალაქის ბაღის მახლობლად დარჩენილია სახრჩობელის ნაშთები, რომელზეც ჰიტლერელები საბჭოთა ადამიანებს ახრჩობდნენ.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის

ასპინძის რაიონის კოლმეურნეობები, ანხორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების შესახებ, დაუღალავად მუშაობენ, რომ ჩვენს ქვეყანასა და წითელ არმიას მისცენ მეცხოველეობის მეტი პროდუქტები. რაიონის კოლმეურნეობებმა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების 1942 წლის სახელმწიფო გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა 14 აგვისტოსათვის გადაჭარბებით იყო შესრულებული. მსხვილფეხა რქიანი საქონლის განვითარების გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით, გვყავს 11.215 სული საქონელი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11.200 სულისა; ძროხებისა შესრულებულია 119,1 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—111,5 პროცენტით—ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15.500 სულისა გვყავს 17.283 სული ცხვარი და თხა. მეღორეობის განვითარების გეგმა შესრულებულია 137,6 პროცენტით, უახლოეს დღეებში პირუტყვის დაგრილების გეგმა მთლიანად იქნება შესრულებული. 1943 წლის 10 აგვისტოსათვის რაიონ

პარტიული ცხოვრება

სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“

თბილისის რაიონული პარტიული აქტივის კრებები

საქართველოს მშრომელები ღრმად და საფუძვლიანად სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ქალაქ თბილისის რაიონული პარტიული აქტივის კრებებზე სპეციალურად იქნა განხილული ამ დიდი ისტორიული წიგნის შესწავლის საკითხი.

თბილისის სტალინის რაიონის პარტიული აქტივის კრებამ მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მდივნის ამხ. ვ. ლოლაძის მოხსენება ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლასა და რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებზე. მომხსენებელმა ილაპარაკა ამხანაგ სტალინის წიგნის მნიშვნელობაზე და იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ანხორციელებენ რაიონის პარტიული ორგანიზაციები ამ ღირსშესანიშნავი დოკუმენტის ღრმად შესასწავლად. რაიონის მშრომელთა უმეტესობა, პარტიულ-სამეურნეო აქტივი, კომკავშირელები, ინტელიგენცია ბელადის წიგნს ინდივიდუალურად სწავლობენ. მათ ეხმარებიან პროპაგანდისტები და აგიტატორები. პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის იმართება მოხსენებები, ლექციები. ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები. ადგილებზე საწარმოებში და რაიკომის პარტკაბინეტებში მოწყობილია ლიტერატურის, გამოფენა ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელთა დასახმარებლად.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ზ. ლისენკო, ვ. ბერიოზაშვილი (ტრაქტორ-ტროლეიბუსების სამმართველო), ლ. მეშველიანი (კუიბიშევის სახ. ქარხანა), ბ. მიქაბერიძე (კინოსტუდია), ლ. ჯორჯაძე (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომი) და სხვები. მათ ილაპარაკეს იმ მუშაობაზე, რომელიც ტარდება რაიონში ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ ამხანაგ სტალინის წიგნის საფუძვლიანად შესწავლისათვის.

* * *

თბილისის მოლოტოვის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შესწავლასა და რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ლუარსაბოვი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყოველმა საბჭოთა ადამიანმა, ყოველმა საბჭოთა პატრიოტმა ღრმად უნდა შეისწავლოს ამხანაგ სტალინის წიგნი, რომელიც საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და თავდადებული შრომის პროგრამას წარმოადგენს; იგი გვასწავლის მტრის განადგურებისა და ჩვენი საბოლოო გამარჯვების სწორ გზას. მომხსენებელმა ამასთანავე აქტივს მოუთხრო, თუ რა მუშაობა ტარდება რაიონში ამ უდიდესი მნიშვნელობის წიგნის საფუძვლიანად შესწავლისათვის.

სიტყვებით გამოვიდნენ ფ. აფაქიძე (ბრიგადელი სამკერვალო ფაბრიკა), ეკანია (ელექტროფიცული ფაბრიკა), ნ. კიკნაძე (ხახელგამი), პროპაგანდისტი თოფურია, ავეტისოვი, სტაბანოვი და მკერავი ბაკურაძე და სხვები, სულ 9 კაცი.

თბილისის კარგოგრაფიულ ფაბრიკაში

თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის პარტორგანიზაცია სერიოზულ მუშაობას ატარებს ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შესასწავლად.

7 აგვისტოს ჩატარდა აგიტკოლექტივის თათბირი. 9 აგვისტოს ფაბრიკის პარტიულ-კომკავშირულ აქტივსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს ქარხნის დირექტორმა, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა ამხ. ივანიამ საუბარი ჩაუტარა ამხანაგ სტალინის წიგნის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ.

ფაბრიკაში ჩამოყალიბებულია ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელი 3 წრე. წრის წევრებს და დამოუკიდებლად შემსწავლელთ 10 აგვისტოს ლექცია წაუკითხა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორმა ამხ. კანტარიამ.

10 აგვისტოს ფაბრიკის დიდ პარტიულმა კრებამ მოისმინა ამხ. ივანიას ინფორმაცია ფაბრიკაში ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლის მიმდინარეობის შესახებ. აგიტკოლექტივს შედგენილი აქვს სამუშაო გეგმა. დაზუსტებულია საუბრებისა და ლექციების თემები.

გორის მშრომელები სწავლობენ ბელადის წიგნს

გორი („კომუნისტის“ საქ. კორ.). რაიონის მშრომელები უდიდეს ინტერესს იჩენენ ამხანაგ სტალინის ისტორიული წიგნის შესწავლისადმი. რაიონში უკვე ჩამოყალიბებულია ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელი 23 წრე. წრეების ხელმძღვანელებად შერჩეული და დამტკიცებული არიან სათანადოდ მომზადებული ამხანაგები. რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივი, კომკავშირელთა უმრავლესობა წიგნის შესწავლაზე დამოუკიდებლად მუშაობენ.

რაიკომის პარტკაბინეტთან პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის ჩამოყალიბდა სემინარი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. პარტკაბინეტში მოეწყო აგრეთვე დამხმარე ლიტერატურისა და მასალების გამოფენა. 13 აგვისტოს ჩატარდა რაიონის პარტაქტივის კრება, რომელზეც განიხილა ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შესწავლის საკითხი. მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი ამხ. გ. მიხანაშვილი. 22 აგვისტოს ჩატარდება აგიტატორთა და პროპაგანდისტთა რაიონული თათბირი. მთელ რიგ წარმოებათა დაწესებულებებში ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შემსწავლელი წრეები უკვე შეუდგნენ მუშაობას.

შ. ჩუბინიძე

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის პლენუმი

ცხაკაია („კომუნისტის“ კორ.). შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის XII პლენუმი, რომელმაც მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებლის ამხ. გ. ქარჩავას საანგარიშო მოხსენება 1941 წლის იანვრიდან 1943 წლის აგვისტომდე რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: შ. ალანია, ა. ბუკია, ვ. ბაღათურია, ა. ძაძამია, შ. ჩემია, პ. ზარქუა, ვ. განგია და ვ. ბერაია.

პლენუმზე განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა ამხ. გ. ქარჩავა გაათავისუფლა საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივნის მოვალეობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ა. ი. კილასონია, მეორე მდივნად—ამხ. ვ. მზარელუა, ხოლო მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად კადრების დარგში—ამხ. დ. ბაღათურია.

პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ნ. ბარამია, ხოლო ბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან — ამხ. ხ. მაქაცარია. რაიკომის ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. დ. ჯაკობია, ბიუროს წევრობის კანდიდატად—ამხ. მ. ჯანელიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. ა. თოფურიძე.

საქართველოს „სუბუქი მრეწველობის მოწინავე საწარმოები

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში შეჯამებულია მიმდინარე წლის იგლისში საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. პირველი ადგილი და საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატს (დირექტორი ამხ. დალაქიშვილი), რომელმაც იგლისის საწარმოო დავალება ყველა მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა.

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. გ. ჯაბუას ბრძანებით აღნიშნულია აგრეთვე მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ამხ. ვაშაძე), საგალანტერეო ფაბრიკის—„კომსომოლკას“ (დირექტორი ამხ. ათაბეკოვა) და თბილისის ტყავეის პირველი ქარხნის (დირექტორი ამხ. თევდორაძე) კარგი მუშაობა. ამ საწარმოებმა იგლისის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს.

ჭყვარჩელელები მეჯ ქვანახშირს მოგვცემენ

(ხალეცნიერო-ტექნიკური სესიის მუშაობის შედეგები)

1 აგვისტოს ტყვარჩელში გაიხსნა და ერთ კვირაზე მეტხანს განაგრძო მუშაობა საქართველოს მშენებელ ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების გამსვლელმა სამეცნიერო-ტექნიკურმა სესიამ, რომელიც მოწვეული იყო ტყვარჩელის სანადოებში ქვანახშირის ამოღების გადიდებასთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის პრობლემების განსახილველად. სესიის მუშაობის შედეგების შესახებ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა აკადემიკოს კ. ზავრიევს, რომელიც ხელმძღვანელობდა აღნიშნული სესიის მუშაობას. აკად. კ. ზავრიევმა საუბარში განაცხადა:

— საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის წინაშე ამჟამად გადაუდებელ საკითხად დგას ქვანახშირის ამოღების მკვეთრად გადიდების ამოცანა. საქართველოს მშენებელ ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების გამავლელი სამეცნიერო სესიის მოწყობა ტყვარჩელში მიზნად ისახავდა სწორედ ამ პრაქტიკული ხასიათის საკითხების გადაწყვეტას. სულ რამდენიმე ხნის წინათ სამეცნიერო საზოგადოებასთან ჩამოყალიბებულ იქნა სამთო-სამშენებლო სექცია, რომელიც შეუდგა საქართველოს ქვანახშირის სანადოების დამუშავებასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხების შესწავლას. კერძოდ, სექციაში შესწავლილ იქნა ტყვარჩელის სანადოებში ქვანახშირის ამოღების საკითხებიც და დამუშავდა ღონისძიებები ამ საკითხების გადასაჭრელად. სესიაზე მოსმენილ იქნა 7 მოხსენება. ამ მოხსენებებში გარჩეული და განმარტებული იყო არა თეორიული პრობლემები, არამედ უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები, ისეთი საკითხები, როგორიც არის მაგალითად, ქვანახშირის დაუმუშავებელ ფენათა უფრო რაციონალურად დამუშავების მეთოდები, მექანიზმების უფრო მიზანშეწონილად გამოყენების საშუალებები, სპეციალ ხე-ტყის ადგილობრივი რესურსებით შეცვლის შესაძლებლობა, ე. წ. ნიადაგქვეშა მდინარეების სიღრმეში ქვანახშირის ფენათა დამუშავების წესი და სხვ.

სესიის დღის წესრიგში დასმული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ცნობილმა სამთო დამუშავებათა დარგის საუკეთესო სპეციალისტებმა, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის სპეციალისტებმა და ტექნიკურმა ძალებმა. სესიაზე მოსმენილ იქნა მაღალკვალიფიციური მოხსენებები: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის პროფ. გ. წულუკიძისა — „ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების თავისებურებანი“; ინჟ. ვ. გოცირიძისა—„სახურავთა მმართველობა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოებში“; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის პროფ. ვ. მიხაილოვისა—„მექანიზმების უკეთესად გამოყენების ღონისძიებები ტყვარჩელში“ და მთელი რიგი სხვა მოხსენებები.

მოკლედ შეიძლება დავასკვნათ, რომ სესიის მუშაობამ კარგი ნაყოფი მოგვცა—უკვე გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს ყველა ის საკითხები, რომელთა მოუწესრიგებლობაც დღემდე აბრკოლებდა ქვანახშირის ამოღების მკვეთრ ზრდას. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ტყვარჩელში ამჟამად ხორციელდება პროფ. გ. წულუკიძის მიერ დამუშავებული საბიგე ხე-ტყის გამოყენების ახალი წესი, რომელიც საშუალებას გვაძლევს რამდენჯერმე გამოვიყენოთ საბიგე ხე-ტყის მასალა. პროფ. წულუკიძემ ეს თავისი მეტად მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული ღონისძიება ახლახან დაამუშავა. ამ სისტემით მუშაობის შედეგად ჩვენ ვღებულობთ ხე-ტყის მასალის დიდ ეკონომიას, რაც შესამჩნევად ამცირებს ქვანახშირის თვითღირებულებას.

ანალოგიური ღონისძიებები სესიის მუშაობის შედეგად ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია, ხოლო ნაწილობრივ ახლა ხორციელდება. სესიის მუშაობის შედეგად ტყვარჩელში ჩამოყალიბდა საქართველოს მშენებელ ინჟინერ-ტექნიკოსთა საზოგადოების უჯრედი, რომელსაც დავალებული აქვს თვალყური ადევნოს სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ხელი შეუწყოს ამ ღონისძიებათა რეალიზაციას და ამ მხრივ დახმარება გაუწიოს ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტს.

ეჭვი არ არის, რომ სესიაზე მიღებული პრაქტიკული ხასიათის გადაწყვეტილებათა უახლოეს დროშივე რეალიზაცია საშუალებას მისცემს ტყვარჩელელებს მკვეთრად გაადიდონ ქვანახშირის ამოღება.

ახლო ხანში ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ასეთივე სესია მოვაწყოთ ტყიბულში და მოვაწესრიგოთ საქმე ისე, რომ ტყიბულელებსაც მიეცეთ საშუალება კიდევ უფრო მეტი ქვანახშირი მისცენ ქვეყანას.

საქართველოს მშენებელ ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საზოგადოება ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ჩვენი ქვანახშირის მრეწველობის მუშებს და ინჟინერ-ტექნიკოსებს, რომ მათ პირნათლად გაანაღდონ პარტიისა და მთავრობის დავალება—მისცენ რაც შეიძლება მეტი ქვანახშირი ტრანსპორტს, ფაბრიკებსა და ქარხნებს, უზრუნველჰყონ სათბობი მასალათ ფრონტი და ზურგი.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გამარჯვება

პროფკავშირთა ცრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა, შეჯამეს რა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ივლისში, სხვა საწარმოთა შორის გამარჯვებულად სცნეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და მისი სადნობი საამქრო.

ივლისის დადგენილებით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას (დირექტორი ამხ. კეკელიძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. მესხი, სადნობი საამქროს უფროსი ამხ. ბოლოკაელიძე) გადაეცა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო სადნობ საამქროს ეწოდა „საბჭოთა კავშირის ფეროშენადნობთა საუკეთესო საამქრო“.

შენიშვნები ფოსტა-ტელეგრაფზე

ბარათი, რომელიც 23 დღე იყო თბილისის ფოსტაში

საქართველოს მშენებელ ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საზოგადოებამ 1 აგვისტოს ტყვარჩელში მოაწყო თავისი გამსვლელი სამეცნიერო-ტექნიკური სესია, სადაც განხილულ იქნა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების დამუშავებასთან დაკავშირებული უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემები. ბუნებრივია, რომ საზოგადოებას სურდა ამ სესიის მუშაობის გაშუქება ჩვენს პრესაში და სწორედ ამიტომ, სესიის გახსნამდე 10 დღით ადრე, მან ფოსტის საშუალებით რედაქციებს დაუგზავნა სესიაზე მისაწვევი ბარათი და სესიის პროგრამა.

საზოგადოება მოთავსებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობაში (თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8). აქედან 22 იგლისს „კომუნისტის“ რედაქციის მისამართით გამოგზავნილი კონვერტი, რომელშიც სესიაზე მისაწვევი ბარათი იყო, დანიშნულებისამებრ მიღებულ იქნა მხოლოდ 14 აგვისტოს, ე. ი. 23 დღის შემდეგ. 23 დღე მოანდომა თბილისის ფოსტამ კორესპონდენციის მიწოდებას ძერჟინსკის ქუჩიდან ლენინის ქუჩამდე. ამ ხნის განმავლობაში სესიამ უკვე დაამთავრა მუშაობა და საფოსტო უწყების ასეთი ცუდი მუშაობის შედეგად რედაქცია მოკლებულ იქნა საშუალებას მონაწილეობა მიეღო სესიის მუშაობაში და მისი მუშაობა გაზეთში დროულად გაეშუქებინა.

ნეტავ ამ შემთხვევას არ მივაქცევდით ყურადღებას, იგი რომ ეშვიათი გამონაკლისი იყოს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ადგილობრივი კორესპონდენციების დანიშნულებისამებრ მიწოდების ასე მეტისმეტად დაგვიანება არც ისე იშვიათია. ახლანდელ ეთარებაში, სამამულო ომის პირობებში საფოსტო უწყებას არ ეპატიება ასეთი ტემპებით მუშაობა. 23 დღეში კუს ნაბიჯითაც კი ათჯერ შეიძლებოდა ამ მანძილის გავლა ძერჟინსკის ქუჩიდან ლენინის ქუჩამდე.

ვინ არის აქ დამნაშავე, ვისი უპასუხისმგებლობით და დაუდევრობით ბრკოლდება ასე აღმაშფოთებლად კორესპონდენციების მოძრაობა? საჭიროა ფოსტის ასეთი მუშაკების გამოვლინება და მათზე სათანადო ზეგავლენის მოხდენა. ჩვენ ველით პასუხს კავშირგაბმულობის სახკომისარიატის რწმუნებულისაგან საქართველოში.

ფილმი „გიორგი საკაძე“, მეორე სერია. სურათზე: თავადები ურჩევენ ზურაბ ერისთავს (მსახ. ომიაძე) უდალატოს გიორგი საკაძეს.

ფილმი „გიორგი საკაძე“ მოსკოვის კინოთეატრებში

მოსკოვის კინოთეატრებში ამჟამად უჩვენებენ ფილმ „გიორგი საკაძის“ მეორე სერიას. მოსკოვის პრესა — „პრავდა“,*) „იზვესტია“, „კრასნაია ზვეზდა“, „ტრუდი“ მაღალ შეფასებას აძლევენ ფილმს.

„იზვესტია“ წერილში „გიორგი საკაძე“ სწერს: „დრამატიზმით სიტუაციების სიმწკვივით, მოქმედებისა და ტემპის დაძაბულობით „გიორგი საკაძის“ მეორე სერია პირველზე გაცილებით საინტერესოა. ამაშია დამსახურება სცენარის ავტორების ა. ანტონოვსკაიასი და ბ. ჩორნენსა, დამდგმელის სტალინური პრემიის ლაურეატის მ. ჭიაურელისა, თბილისის კინოსტუდიის მთელი კოლექტივისა, რომელმაც ომის პირობებში განახორციელა ამ ნაწარმოების რთული ფილმი“.

გაზეთი მაღალ შეფასებას აძლევს მსახიობების თამაშს:

„მთავარი გმირის როლს, რომლის სახელი ეწოდება ფილმს, თამაშობს სსრკ სახალხო არტისტი ა. ხორავა. მსახიობმა შეესძლო შეექმნა XVII საუკუნის საარდლის სახე, რომელიც ასე ნათლად მოგვაგონებს რუსი დეკემბრისტების „ბოგატირების“ სახეს. მაყურებელი ხედავს „დიდი მოურავის“ ვაჟაცურ, კეთილშობილურ, შინაგანი ძალით სავსე სახეს. მსახიობი ხსნის გიორგის ტრაგედიას, როგორც სახელმწიფოებრივი მოღვაწისა, ხალხის ბელადისა და იმავე დროს, როგორც მამისა და ადამიანისას“.

„მკვეთრად მოსჩანს ფილმში შადიმანის სახე, შექმნილი საქ. სსრ დამსახურებული არტისტის ს. ზაქარაიძის მიერ... მთელ რიგ ეპიზოდებში ს. ზაქარაიძემ ინტრიგანის, განცემლისა და ძალაუფლების მოყვარე შადიმანის ხასიათის გახსნისას საერთო-საკაცობრიო განზოგადებათა სიმაღლეზე ასვლა შესძლო“.

„როგორც პირველ სერიაში, მტკიცედ მიჰყავს თავისი როლი სსრ კავშირის სახალხო არტისტს ა. ვასაძეს, რომელიც შაჰს თამაშობს. თვით მეორე სერიის სიუჟეტი უფრო დასამახსოვრებელს ჰქმნის ამ როლს, ვიდრე ფილმის პირველ სერიაში, რადგან შაჰ-აბასი საშინელ ძალად იქცევა ფილმის გმირების პირად ბედიღბალში“.

„ნამდვილი ტრაგიკული ძლიერებით ხსნის დედის ტანჯვის მთელ სიღრმეს საქ. სსრ სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე, რომელიც გიორგის ცოლის—რუსუდანის როლს ასრულებს“.

„არტისტები ს. ბალაშვილი ლუარსაბის როლში და ლ. ასათიანი მისი ცოლის თეკლის როლში კარგად და მგრძნობიარედ ვვიხატავენ მოღალატე თავადებით გარშემორტყმული მეფის ოჯახის განწირულებასა და მარტოობას“.

„იზვესტია“ მთლიანად ფილმს მაღალ შეფასებას აძლევს და სწერს: ...„ფილმი თავიანთ გაჭანებითა და სიღრმით ყველაზე ახლოა შექსპირის ისტორიულ ქრონიკებთან. ამ პლანში იგი წარმოადგენს ჩვენი კინემატოგრაფიის უდავო მიღწევას და ეკუთვნის ხელოვნების იმ ნაწარმოებებს, რომლებიც თვის მხატვრულ და ისტორიულ ღირებულებას მრავალ წელს ინარჩუნებენ“.

„გარდა რეჟისორისა და მსახიობთა წამყვანი ჯგუფის მშვენიერი ნამუშევრისა, ფილმის წარმატებას ხელს უწყობს ოპერატორ ა. შეფერდელოვის, მხატვრების მ. გოცირიძის, რ. ბერეზაშვილის, ლ. მამალაძის, საქ. სსრ დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძის კარგი მუშაობა“.

„კრასნაია ზვეზდა“ წერილში „გიორგი საკაძე“ ფილმ „გიორგი საკაძის“ მეორე სერიის შესახებ სწერს: „ეს არის ერთ-ერთი „მეორე სერიების“ იმ მცირე რაოდენობიდან, რომელიც არ ამცირებს თვმას, არამედ ამყავს იგი პირველ სერიაზე მაღლა. ჩვენ წინ არის სერიოზული მხატვრის დიდი ისტორიული ტილო. იგი ისტორიული მატიანის ზუსტ ტონებშია მოცემული და დიალოგებს ერთგვარი ამაღლებულობა, თვით საუბრის ერთგვარი საზეიმო ხასიათი, რაც ასე ბედნიერია XVII საუკუნის ამბების გადმოცემისას, არა ასუსტებს საერთო შთაბეჭდილებას, არამედ აძლიერებს მას დამატებითი ფერადებით“.

„რეჟისორმა ჭიაურელმა, რომელსაც საბჭოთა მაყურებელი კარგა ხანია იცნობს და უყვარს ფილმებისათვის „უკანასკნელი მსაჯული“ და „დიადი განთიადი“, შეჰქმნა დიდი გაქანების ფუნდამენტური ისტორიული ნაწარმოები“.

„ეს ისტორიული ფილმი გვაღელვებს იმითაც, რომ გვაფრთოვანებს, როცა ხედავს ოჯაკაი მეგრძოლების მამაცობას, მაყურებელი ძალაუნებურად მოიგონებს ფაშიზმთან ჩვენი საყოველთაო სახალხო ბრძოლის ვეოს და წინაპართა შეუპოვრობაში იპოვის ახალ ძალებს ბრძოლისათვის, რომელსაც თვითონ ეწევა მომავლისათვის“.

გაზეთი „ტრუდი“ სწერს, რომ ჭიაურელს ნამუშევარს, რომელიც სავსებით დამსახურებულად უნდა ჩავთვალოთ ხალხურ ტრაგედიად, მაყურებელი დიდი ინტერესით მიაღებს. ეს არის ღრმად ნაციონალური ნაწარმოები, რომელიც ატარებს ქართული ხელოვნების ყველა თავისებურების ნიშნებს“.

„ტრუდი“ აღნიშნავს, რომ „მთელ ფილმში გატარებულია რუსი და ქართველი ხალხის სულიერი სიახლოვის თემა, თავისუფლების სიყვარული, სულიერი სიწმინდე, სიმამაცე, საკენ სწრაფვა, საშინელი სიძულვილი დამპყრობლებისადმი—ეს ნაციონალური თვისებები მუდამ ანათესავებდნენ ამ ორ ხალხს. განსაკუთრებით დამაჯერებლად არის გახსნილი ეს თემა ეპიზოდში—ქართველების თავდასხმაში ირანელთა ბანაკზე. ქართველები მიდიან რუსული სიმღერით. მტერი შეიძრა მას ჰგონია, რომ რუსი მებრძოლები მარადა მოვიდნენ მოძმე ქართველების დასახმარებლად. ამ ეპიზოდს, როგორც სიმბოლოს, ორ ხალხის ნათესაობის თემა მაღალ მხატვრულ განზოგადებამდე აჰყავს“.

*) „პრავდის“ რეცენზია მთლიანად დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის 17 აგვისტოს ნომერში.

რედ.

რუსთაველის თეატრში

რუსთაველის თეატრი 1943-44 წლის სეზონისათვის მზადებას შეუდგა 2 აგვისტოს. სეზონი გაიხსნება 28 აგვისტოს ვ. დარასელის პიესით „ალვიძე“. სეზონის განმავლობაში თეატრი განაახლებს წინა წლების შემდეგ დადგმებს: „ალვიძე“, „ოლეგ დუნდიჩი“, „სამშობლო“, „ლალატი“, „საპატარძლო აფიშით“, „უდანაშაულო დამნაშავენი“ და „ოტელო“.

მომავალი სეზონის პირველ პრემიერად თეატრი ამზადებს ს. შანშიაშვილის ისტორიულ-პატრიოტულ პიესას „კრწანისის გმირები“, რომელიც ასახავს ქართველი ხალხის თავდადებულ ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. პიესას სდგამს დ. ალექსიძე, მხატვარია ს. ვირსალაძე, მუსიკას სწერს ა. ბალანჩივაძე. მთავარ როლებს ასრულებენ: ა. ვასაძე (ერეკლე მეფე), დ. მეკვია, გ. საღარაძე, ს. ჯაფარიძე, თ. ბაქრაძე და სხვ. პრემიერა შესდგება 28 სექტემბერს.

ოქტომბრის დღესასწაულებისათვის თეატრი ამზადებს ს. კლდიაშვილის პიესას სამამულო ომის თემაზე „ირმის ხევი“, რომელიც ასახავს მთიელთა გმირულ ბრძოლას გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ. პიესას სდგამს ა. ვასაძე, მხატვრულად აფორმებს თ. ანჯაფარიძე, მუსიკას სწერს რ. გაბიჩვაძე. პრემიერა შესდგება 5 ნოემბერს.

20 დეკემბერს თეატრი დასდგამს ბრაგინსკი და ტოვსტონოგოვის პიესას „1940 წლის გაზაფხული“, რომელშიც აღწერილია ნორვეგიელი ხალხის ბრძოლა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ. პიესას სდგამს შ. ეოსსპანი, მხატვრულად აფორმებს პროფ. შარლემანი, მუსიკა ი. გოციელისა.

სეზონის მეორე ნახევარში თეატრი დასდგამს პიესას „სირანო დე ბერჟერაკ“. ამ პიესის დადგმა მინდობილი აქვს სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრის მთავარ რეჟისორს, ისსსრ დამსახურებულ არტისტს ორდენოსან ი. მ. თუმანიშვილს, რომელიც რუსთაველის თეატრმა მიიწვია სამუშაოდ. ი. მ. თუმანიშვილი უკვე შეუდგა მუშაობას. სპექტაკლს მხატვრულად გაფორმებს ს. ვირსალაძე, მუსიკას დასწერს ა. ბალანჩივაძე. სეზონის მეორე ნახევარში თეატრი დასადგმელად ამზადებს აგრეთვე ლ. ლეონოვის პიესას „შიმოსეი“ და ა. ყაზბეგის „ხევის ბერ გორას“, რომელიც პესად გადააკეთა ს. შანშიაშვილმა.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) სოღნაღის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 3366103, გაცემული გერასიმე ზაქარიასძე **რიადნოვის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3720064, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მიერ ელენე ირაკლის-ასულ **გოგიტიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

კინოებში

რუსთაველის სახ. და **ოქტომბერი**—„ძველი ჩიკაგოში“. **კომკავშირელი** — „მეღორე“, „ცა“ და „ჯოჯოხეთი“. **სპარტაკი**—„ნათელი გზა“. **ლუქსემბურგის სახ.** და **26 კომ. სახ.** — „ის იცავს სამშობლოს“. **განთიადი**—„ვალსის მელოდიები“. **ორჯონიკიძის სახ. პარკი**—„დაბრუნება“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

აგრძელებს 1943-44 სასწავლო წლი სათვის განცხადებების მიღებას

სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტებზე განცხადებები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში. რუსთაველის პროსპ. № 21, ტელ. № 3—64—11.

დაწვრილებითი ცნობებისათვის იხილეთ 1943 წლის 30 მაისის გაზ. „კომუნისტი“, № 117.

მისაღები გამოცდები **20** სექტემბერს, დილის 10 საათზე.

დირექცია

თბილისის მესამე საფერშლო სკოლა 1943-44 წელს აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას ქართულ და რუსულ სექტორებზე. კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ ფერშლის წოდება. სწავლის ხანგრძლივობა სამი წელი. მეცადინეობა იწყება სალამობით. განცხადებები მიიღება 25 სექტემბრამდე საღ. 4-დან 8 საათამდე.

სტიპენდია და საერთო საცხოვრებელი საერთო წესით. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

პირობების გაგება სკოლის კანცელარიაში: პეტრიაშვილის ქ. № 3, ტელ. № 3—51—47.

დირექცია

I სამეანო-გინეკოლოგიური კლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კლინიკის გამგეს პროფ. პ. შუშანიას **თამარ ნემსიწვერიძის** გარდაცვალების გამო.

ხვიჩია, ონიანი, ჩინჩალაძე, კანანოვი, ქაჩიბაია, ჭეიშვილი, ბაბუნაშვილი, კანდელაკი, მერაბიშვილი იუწყებიან **ლუბა ბალანჩივაძე-მარღანიას** გარდაცვალებას. 1655

ბიქტორ, თეო, მაშიკო ბალანჩივაძეები, ვანო ხუნწარია ცოლშვილით იუწყებიან **თამარ ნემსიწვერიძის** გარდაცვალებას. გამოსვ. 19/VIII, 6 ს. გაბაშვილის. 3. 1654

პლატონ, თათუშა და ეთერ შუშანიები იუწყებიან **თამარ ნემსიწვერიძის** გარდაცვალებას. გამოსვ. 19/VIII, 6 ს. გაბაშვილის, 3. 1650

ანდრო, ვალია და როზეტა კირკლიანები, გალაქტიონ კილაძე ცოლით იუწყებიან **მიშა ონოფრეს-ძე კილაძის** გარდაცვალებას. 1652

მამა რაფიელ, და როზა, ესმა, კონსტანტინე, ზინა, მერი, ვარლამ იუწყებიან **ნაპოლეონ კოროშინაძის** გარდაცვალებას. პანაშვ. 18/VIII, 7 ს. ჭუთათელაძის, 22. გამოსვ. 19/VIII, 5½ ს.

ბრძოლა გრძელდება

გუშინ ამ მაღლობისათვის ბრძოლა სწარმოებდა.

ძლიერი წვიმის შემდეგ სრიალა ფერდობებზე ჩვენი ტანკები მიცოცავდნენ და ლაფს შავ შადრევნებად მაღლა სტყორცნიდნენ. ისინი სწრაფად მო